

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია 2020 წელს



I. პრეამბულა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით კვლევის ჩატარებას არეგულირებს ეთიკის კოდექსი, რომელიც იზიარებს ამერიკისა და ევროპის ანთროპოლოგთა ასოციაციის ეთიკის კოდექსების მიდგომებს. ანთროპოლოგებს აქვთ მორალური ვალდებულებები ადამიანის, ოჯახის, რელიგიისა თუ სხვა გაერთიანებების, ასევე საკუთარი პროფესიის წინაშე. სავსე სამუშაოების დროს შეიძლება განვითარდეს ახლო კავშირები იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ანთროპოლოგები მუშაობენ, რაც ეთიკურ საკითხებს წარმოშობს. ასეთი კომპლექსური ჩართულობების ველში გარდაუვალია გაუგებრობების წარმოქმნა და დგება შეუთავსებელ ღირებულებებს შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობა. ანთროპოლოგები პასუხისმგებელი არიან ამ სირთულეების დაძლევაზე და მათ გადაჭრაზე იმ გზებით, რომლებიც ამ დოკუმენტში წარმოდგენილ პრინციპებთან არის შეთავსებადი. ამიტომ ამ კოდექსში წარმოდგენილი პრინციპები ანთროპოლოგს აძლევს შესაძლებლობას ანთროპოლოგიური სამუშაო და კვლევა ეთიკის ყველა პრინციპის დაცვით ჩაატაროს.

II. შესავალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ეთიკის კოდექსის საწყისი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო ხალხების წარსულისა და აწმყოს შესწავლა, მათზე ცოდნის წარმოება და ამ ცოდნის გამოყენება (მაგ: გამოცემა, სწავლება, კვლევითი პროექტები, და საინფორმაციო პოლიტიკა) უნდა ხდებოდეს ეთიკური ხერხებით. ვერანაირი კოდექსი, ან მითითებების წყება ვერ განჭვრეტს ყველა იმ გამოწვევას, რაც ანთროპოლოგიურ კვლევას შეიძლება ახლდეს თან. მაგრამ ანთროპოლოგი მზად უნდა იყოს, რომ გააკეთოს ეთიკური არჩევანი და ამავდროულად შეძლოს დაასაბუთოს,

თუ რა ფაქტებს და ვარაუდებს ემყარება ეს არჩევანი. სწორედ ამიტომ, ეს რჩევები მიმართულია იმ ძირითადი კონტექსტის, პრიორიტეტებისა და კავშირების ჩვენებისკენ, რომლებიც ანთროპოლოგიური მუშაობისას ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული.

III. კვლევა

როგორც კვლევის წარდგენის, ასევე მისი შესრულებისას, ანთროპოლოგი მკვლევრები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათი ცოდნის წარმოებაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვადასხვა წყაროებმა (სახელმწიფო, დამფინანსებელი ორგანიზაცია, კოლეგები, შესასწავლი ხალხი). ამიტომ მკვლევრებს უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მოხდება მათი სამუშაოს შედეგების გამოყენება მიზნობრივად და შესაბამისად, მათი გავრცელება. ამ დროს, მკვლევრებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე ცოდნის წარმოებისა და გავრცელების პროცესში და თუ კვლევა ამ მოლოდინებს პასუხობს, მაშინ ის არის ეთიკური კვლევა მიუხედავად დაფინანსების წყაროსა (საჯარო თუ კერძო) და მიზნებისა.

ა) პასუხისმგებლობა იმ ადამიანების წინაშე ვისთანაც ანთროპოლოგი მკვლევრები მუშაობენ და რომელთა ცხოვრებას და კულტურასაც შეისწავლიან.

- ანთროპოლოგი მკვლევრებს აქვთ პირდაპირი ეთიკური ვალდებულებები იმ ადამიანების, ბიოლოგიური სახეობებისა და გარემოს წინაშე, რომლებსაც შეისწავლიან და რომლებთანაც მუშაობენ. ამ ვალდებულებებმა შეიძლება შეცვალონ ახალი ცოდნის ძიების მიზანი და შეიძლება მიგვიყვანონ კვლევითი პროექტის გაუქმებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებებამდე.
- საკუთარი კვლევის წარმართვისა და გამოცემისას, ან საკუთარი კვლევის შედეგების სხვაგვარად წარმოჩენისას, ანთროპოლოგი მკვლევრები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ არ ვნებენ იმ ადამიანების უსაფრთხოებას, ღირსებას ან კონფიდენციალობას, რომლებთანაც მუშაობენ, აწარმოებენ კვლევას, ან ასრულებენ სხვა პროფესიულ აქტივობებს.
- ანთროპოლოგმა მკვლევარებმა წინასწარ უნდა გაარკვიონ, მათი ინფორმაციის მომწოდებლები ანონიმურად დარჩენას ამჯობინებენ, თუ ვინაობის გამხელას და ყველანაირად უნდა ეცადონ, რომ მათი სურვილის შესაბამისად იმოქმედონ. მკვლევრებმა თავიანთი კვლევის მონაწილეებს უნდა გააცნონ მათი არჩევანის შესაძლო შედეგები და ცხადი გახადონ, რომ საგულდაგულო მცდელობის მიუხედავად, შეიძლება ანონიმურობა გაცხადდეს.
- ანთროპოლოგმა მკვლევარებმა თავიდანვე უნდა იზრუნონ იმ ადამიანების თანხმობაზე, რომლებსაც შეისწავლიან, ვისგანაც იღებენ ინფორმაციას, ან ვინც ფლობენ შესასწავლ მასალაზე წვდომას. ინფორმაციის გაცემაზე მიღებული თანხმობის ხარისხი და სიღრმე დამოკიდებულია პროექტის არსზე და შეიძლება მასზე იმოქმედოს საკვლევ საზოგადოებაში, ან ქვეყანაში მოქმედმა სხვა კოდექსებმა, კანონებმა და ეთიკამ. ამავედროულად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ინფორმაციაზე მიღებული თანხმობის პროცესი დინამიური და განგრძობითია; ეს პროცესი უნდა გათვალისწინებული იყოს პროექტში და გაგმეღდეს შესასწავლ ადამიანებთან დიალოგისა და მოლაპარაკებების წარმოების გზით. ინფორმაციის გაცემაზე

მიღებული თანხმობა ამ კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე არ გულისხმობს აუცილებლად დაწერილ ან ხელმოწერილ ფორმას.

- ანთროპოლოგიის მკვლევრებმა, რომლებმაც ახლო ურთიერთობები დაამყარეს ინფორმაციის მომწოდებელ ინდივიდებთან ან ჯგუფებთან, უნდა დაიცვან ღიაობის და ინფორმაციის გაცემის შესახებ თანხმობის მიღების ვალდებულებები და ამავდროულად ფრთხილად დაარეგულირონ ურთიერთობის საზღვრები.
- ანთროპოლოგებმა არ უნდა მოახდინონ ინდივიდების, ჯგუფების, ცხოველების, კულტურული, თუ ბიოლოგიური მასალების ექსპლუატაცია. მათ უნდა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა იმ საზოგადოებების წინაშე, რომლებშიც მუშაობენ და სათანადოდ დააფასონ გაწეული დახმარება.

ბ) მეცნიერების და სამეცნიერო საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა

- ანთროპოლოგი მკვლევრებს მუშაობის ყოველ ეტაპზე უნდა ჰქონდეთ ეთიკურ დილემებთან შეჯახების მოლოდინი. მათ კვლევითი განაცხადის მომზადებისას და პროექტის მიმდინარეობისას კეთილსინდისიერად უნდა მოახდინონ პოტენციური ეთიკური კონფლიქტების იდენტიფიცირება. ყოველი კვლევითი განაცხადის ნაწილი უნდა იყოს სექცია, რომელიც წინასწარ წამოჭრის და რეაგირებას ახდენს პოტენციურ ეთიკურ საკითხებზე.
- ანთროპოლოგი მკვლევრები იღებენ პასუხისმგებლობას მათი დისციპლინის და მეცნიერების რეპუტაციაზე. ისინი ექვემდებარებიან სამეცნიერო და აკადემიური სივრცის ძირითად მორალურ კანონებს: მათ შეცდომაში არ უნდა შეიყვანონ სხვები (სინამდვილის გაყალბება, ფალსიფიცირება, პლაგიატი). განზრახ არ უნდა მოახდინონ სხვების სამეცნიერო კვლევების არასწორი ინტერპრეტაცია.
- ანთროპოლოგმა მკვლევარებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რაც მათ შეუძლიათ, იმისთვის რომ მომავალ საველე მკვლევრებს გაუკვალონ გზა.
- ანთროპოლოგებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იყვენენ გულწრფელები და ღიები/გამჭვირვალეები მათი კვლევის არსით და განზრახვით დაინტერესებული ყველა პირის მიმართ. მათ არასწორად არ უნდა წარმოაჩინონ საკუთარი კვლევითი მიზნები, დამფინანსებელთა წყაროები, აქტივობები, ან კვლევის შედეგები. კვლევითი მიზნებისა და კვლევის შედეგების განზრახ არასწორად წარმოჩენა კვლევითი ეთიკის თვალსაჩინო დარღვევაა.
- ანთროპოლოგმა მკვლევრებმა საკუთარი სამუშაოს შედეგები შესაფერისი ფორმით უნდა გამოიყენონ და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემათ გაავრცელონ სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

გ) პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე

- ანთროპოლოგმა მკვლევარებმა თავიანთი კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახადონ სტუდენტებისთვის, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და ა.შ. ამ პროცესში ისინი უნდა იყვენენ კეთილსინდისიერები; ისინი არიან პასუხისმგებელნი განცხადებების არა მხოლოდ ფაქტობრივ მხარეზე, არამედ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის გავლენას სოციო-პოლიტიკურ პროცესებზე. მათ უნდა გააკეთონ ყველაფერი, რათა მათი

ინფორმაცია იქნეს სწორედ გაგებული, ადეკვატურად კონტექსტუალიზებული და პასუხისმგებლობით გამოყენებული. მათ მკაფიო უნდა გახადონ ის ემპირიული ბაზა, რასაც მათი ანგარიშები ეყრდნობა, იყვნენ გულწრფელნი საკუთარი კვალიფიკაციის და ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ ხედვებთან დაკავშირებით და აღიარონ ანთროპოლოგიური ცოდნის საზღვრები. ამავდროულად უნდა იყვნენ ფხიზლად იმ მოსალოდნელი ზიანის შესახებ, რაც მათმა ინფორმაციამ შეიძლება მოუტანოს იმ ხალხს და კოლეგებს, რომლებთანაც მუშაობენ.

- ანთროპოლოგებმა შეიძლება აირჩიონ პოზიცია, რომელიც გაცდება კვლევის შედეგების პრეზენტაციას და გავა ადვოკატირებამდე. ეს არის ინდივიდუალური გადაწყვეტილება, მაგრამ არა ეთიკური პასუხისმგებლობა.

დ) სწავლება (პასუხისმგებლობა სტუდენტებისა და სწავლების მონაწილეების მიმართ)

ანთროპოლოგიის ლექტორები უნდა იყვნენ მგრძნობიარენი იმაში, თუ როგორ ვრცელდება აღნიშნული ეთიკის კოდექსი მათ დისციპლინაში. მასწავლებლებმა უნდა აუხსნან სტუდენტებს ის გამოწვევები, რომლებთან შეხებაც მოუწევთ ანთროპოლოგიური სამუშაოს შესრულებისას; შთააგონონ ისინი, რომ აწარმოონ დიალოგი კოლეგებთან ეთიკურ საკითხებზე.

IV. შედეგების პრეზენტაცია

- ანთროპოლოგიური კვლევის შედეგები კომპლექსურია, ხდება მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საგანი. ანთროპოლოგებს აქვთ ეთიკური ვალდებულება გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის პოტენციური შედეგი, კომუნიკაცია თუ შედეგების გავრცელება, ყველა პირდაპირ თუ არა პირდაპირ ჩართულ მხარეზე.
- ანთროპოლოგების კვლევის შედეგები კვლევაში ჩართული მონაწილეებისთვის უნდა იყოს უსაფრთხო, ღირსებისა და პრივატულობის უზრუნველყოფელი და არ უქმნიდეს საფრთხეს მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას.

V. ეპილოგი

ანთროპოლოგიური კვლევა აწესებს ეთიკურ არჩევანს, რომლის მიმართაც ანთროპოლოგებს, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად აკისრიათ პასუხისმგებლობა. რაკი ანთროპოლოგები სხვადასხვა ჯგუფებისა და სუბიექტების კვლევით არიან დაკავებულნი, მათ არჩევანი უნდა გააკეთონ არა მხოლოდ იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რასაც გვაკისრებს წინამდებარე კოდექსი, არამედ ასევე მოხდეს ამ ჯგუფების შეხედულებებისა და მოთხოვნების გათვალისწინება.